# ეკატერინე ტიკარაძემ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთათვის გადაცემული სახლები მოინახულა



**ალიონი.** 22 ივლისს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **ეკატერინე ტიკარაძემ** გურიაში სტიქიურ მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის გადაცემული სახლები მოინახულა.

ეკატერინე ტიკარაძე ეკომიგრანტებს ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში ესტუმრა.

სოფელ აცანაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული შალვა წილოსანის ოჯახს ორსართულიანი კეთილმოწყობილი კაპიტალური სახლი ქ. ლანჩხუთში შეუძინეს.

როგორც ამ ოჯახის დედამ **დალი ჩხაიძემ** გვითხრა, სტიქიამ მათი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი „პიზას კოშკის" მდგომარეობაში მოაქცია და საცხოვრებლად უვარგისი გახდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით, სამინისტრომ ქ. ლანჩხუთში საცხოვრებელი სახლი შეუძინათ.

*„გურია ერთერთი რთული რეგიონია მეწყერსაშიშო ზონის თვალსაზრისით. ჩვენ სისტემატიურად ვხვდებით კომისიის წევრებს, მიმდინარეობს გეოლოგიური დასკვნის მომზადება და საჭირო დოკუმენტაციის ოპერატიულად გადაგზავნა სამინისტროში, რათა დროულად მოხდეს ეკომიგრანტებისთვის შესაბამისი თანხის გამოყოფა და სახლის შეძენა. დღეს ერთ-ერთ ასეთ ოჯახში ვიმყოფებით, ამჟამად მიმდინარეობს 60 ოჯახის შესწავლა, მათი მდგომარეობისა და დასკვნების მომზადება, იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე დააკმაყოფილონ ეს ადამიანები. დღეს მინისტრთან ერთად შემოვივლით სამივე მუნიციპალიტეტს და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებებს",* – განაცხადა **ზურაბ ნასარაიამ.**

ეკეტერინე ტიკარაძემ გურიის გუბერნატორ ზურაბ ნასარაიასთან, დევნილთა და ეკომიგრანტთა სააგენტოს დირექტორ ბესარიონ სიმონიშვილთან ერთად დაბა ჩოხატაურსა და ქ. ოზურგეთშიც მოინახულა სამინისტროს მიერ შეძენილი სახლები.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამინისტრომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 176 ოჯახს შეუძინა საცხოვრებელი სახლი. 2020 წლის ბოლომდე სააგენტო ეკომიგრანტი ოჯახებისთვის დამატებით 180 სახლს შეისყიდის.


ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოცემა. № 18 (10354) 27 ივლისი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.


# კომპანია „სამი ძმები" მდინარე სუფსის ხეობაში მოსახლეობის პროტესტს არად აგდებენ



**ალიონი.** გასულ ხუთშაბათს გაზეთ „ალიონს" სოფელ ბაილეთიდან აცნობეს, რომ კომპანია „სამი ძმები" მდინარე სუფსის აუზში ქვიშა-ღორღის მოპოვებას კვლავ აგრძელებდა სოფელ ბაილეთისა და სილაურის მოსახლეობის პროტესტის შედეგად გარემოსდამცველება 3-ჯერ ამოაყვანიეს ექსკავატორი მდინარის ხეობიდან. ამჯერადაც ხეობაში არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკო"-სთან ერთად გავემგზავრეთ.

რაოდენ საკვირველი არ უნდა იყოს, თითოეულ მისვლაზე კომპანიის წარმომადგენლებად სულ სხვადასხვა ადამიანები გვხდება.მხოლოდ კომპანიის დირექტორი ივერი ფუტკარაძე არ იცვლება. იგი ტრადიციული დამცინავი ღიმილით ხვდება საპროტესტო აქციის მონაწილეებს თუ ჟურნალისტებს. საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი აბო ზურაბიანი და სოდის ყოფილი ოფიცერი დავით ჯანგავაძე ამჟამად იქ არ გვინახავს.

ამჯერად ყველაზე უფრო კომპანიის ახალი წარმომადგენელი კახა ჩხარტიშვილი (ჯუმათი, იანეთი )აქტიურობდა. იგი ახლახან დაბრუნდა ისრაელიდან.

*–ამ საქმეში დიდი ფული ჩავდევი. შემოსავლების სამსახურმა კომპანიას ყადაღა მოუხსნა. რატომ არ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა?*

*–არ გაქვს დოკუმენტაცია წესრიგში, თავიდანვე წიაღის ეროვნულმა სააგენტოს მიერ ლიცენზია არასწორად იქნა გაცემული. თქვენ მოსახლეობის ნების იგნორირებას ახდენთ. კვლავ შეუდექით მდინარე სუფსის შუაზე გაყოფას. სილაურისა და ბაილეთის*


გვ-8


# რატომ ართმევენ ხალხს, ჯერ გაყიდულ, შემდეგ უკან დაბრუნებულ მიწებს..





**ალიონი.** ქ. ოზურგეთში, ექადიაზე მცხოვრები 22 ოჯახისთვის მათ მფლობელობაში მყოფი 3,6 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გაფორმება წლებია არ ხერხდება. ექადიელთა აქციებმა, კოლექტიურმა წერილებმა ჯერ სააკაშვილის, შემდეგ „ქართული ოცნების" ხელისუფლების დროს ის შედეგი გამოიღო, რომ ჯერ-ჯერობით მავანმა და მავანმა ამ „მსუყე ლუკმის" გადაყლაპვა ვერ შეძლო, თუმცა ამის მცდელობა იყო, როცა ეკონომიკის სამინისტრომ 2011 წლის დეკემბერში ეს მიწები იმჟამად საქართველოს პროკურატურის თანამდებობის პირს შალვა საღირაშვილს შეასყიდვინა.

ამონარიდი გაზეთ „გურია ნიუსიდან": *„საპარლამენტო და ადგილობრივი თვითთმართველობის არჩევნების დროს, მოსახლეობასთან შეხვედრისას, ოზურგეთის ამჟამინდელი კანდიდატი პარლამენტში გოჩა შანიძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი შეგვპირდნენ, რომ მოაგვარებდნენ ამ პრობლემას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, არჩევნებმა ჩაიარა და როგორც ამჟამად გახდა ცნობილი, სადაო მიწის ნაკვეთი, რომელიც შემოღობილი გვაქვს და რომელსაც დღემდე ვფლობთ, შეუსყიდია საქართველოს პროკურატურის თანამდებობის პირს შალვა საღირაშვილს. ჩვენ, 22 ოჯახი კი დაგვტოვეს პირში ჩალაგამოვლებული..." -ნათქვამია პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში, რომელსაც 22 ექადიელი აწერს ხელს."* („გურია ნიუსი", №44, 4 ივნისი, 2012 წ.)

ეს ის პერიოდი იყო, როცა ნაციონალურ ხელისუფლებას ძალიან შეერყა ავტორიტეტი ხალხში და არჩევნების აშკარა წაგების საფრთხის წინაშე იდგნენ. ამიტომ ისინი არ დაუპირისპირდნენ ექადიელებს, 22 ოჯახის ასამდე ამომრჩეველს, მით უმეტეს შალვა საღირაშვილმა მოკლე დროში აღნიშნული მიწების ჯერ სხვა პირებზე გასხვისების და შემდეგ უკან დაბრუნების საეჭვო ოპერაციები ჩაატარა. 2012 წლის 2 აპრილიდან ეს ქონება დაუბრუნდა სახელმწიფოს უკან, რასაც საფუძვლად ეკონომიკის მინისტრის მოადგილის დავით გიორგაძის 2012 წლის ბრძანება დაედო, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა 36 801 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის2011 წლის 1 დეკემბრის №1/2528 ბრძანება.

ამჯერად კი, როგორც ოზურგეთის „თეთრი სახლის" ერთ-ერთმა თანამშრომელმა კონფიდენციალურად გვითხრა, გუბერნიასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში წერილი შევიდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო, გურია ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის უფროსს **გოჩა კანკავასაგან**, რომლითაც ირკვევა, რომ არის დაინტერესებული პირი, რომელიც ექადიელთა 3,6 ჰექტარი მიწის ნაკ-


გვ-2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100
გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი დილა**
**«ალიონით»**

# რატომ ართმევენ ხალხს, ჯერ გაყიდულ,შემდეგ უკან დაბრუნებულ მიწებს..

ვეთის იჯარით გადაცემას ითხოვს, სადაც მოცვის პლანტაციის გაშენებას აპირებს.

*– თუ ჩვენთვის არ შეიძლება გადმოცემა, რატომაა ეს შესაძლებელი სხვას გადაეცეს? თუკი დონორი ორგანიზაციები დაგვეხმარებოდნენ, ჩვენც გავაშენებდით აღნიშნულ ფართობზე მოცვის და სხვა კენკროვანი კულტურების პლანტაციებს –*უთხრა 18 ივლისს კომპანია „მანსაროვარის“ კუთვნილი საწარმოს წინ გამართულ მოსახლეობის საპროტესტო აქციაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ექადია-ანასეულის მაჟორიტარ დეპუტატს დავით მდინარაძეს ექადიელმა **ცისანა ჯინჭარაძემ.**

მართლაც ლოგიკური კითხვაა: რასაც ვერ ახერხებს აღნიშნული მიწის რეალური მფლობელები წლების მანძილზე, რატომაა ეს შესაძლებელი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირისათვის. მით უმეტეს, ექადიელებმა გაზეთ „ალიონს“ უამრავი მიმოწერა წარმოუდგინეს საქართველოს პრემიერ-მინისტრების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულის თუ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელზე. პასუხები კი თითქმის იდენტურია.

*–2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში ჩვენს საარჩევნო უბანში მიშა სააკაშვილის ხელისუფლება რომ დამარცხდა, ერთ-ერთი მიზეზი ეს მიწები იყო. 2012 წლის არჩევნებიდან მოყოლებული ზვიად კვაჭანტირაძე, დავით დარჩია, მერაბ ჭანუყვაძე, არჩილ თალაკვაძე და სხვები გვიპრდებოდნენ, რომ არჩევნების დამთავრების შემდეგ ამ პრობლემას მოაგვარებდნენ,* მაგრამ შედეგს ხედავთ. ახლა კი, არჩევნების წინ ჩვენი მიწების სხვაზე გადაცემას აპირებენ – გვითხრა **კაკო თავდუმაძემ.**

*–ჟურნალისტებმა კარგად იცით, რა მოხდა 2008 წელს, როცა იმჟამინდელი კანონის შესაბამისად მიწების ლეგალიზებას ვაპირებდით. აზომვითი ნახაზებისთვის შევიტანეთ შესაბამისი თანხა – 1190 ლარი შპს „ულტრა იეს“-ის ანგარიშზე. მივიდნენ, აზომეს, შეადგინეს ნახაზები. შემდეგ მოვიდა ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარე ვალია გირკელიძე, სხვები. გვითხრეს, არსებული კანონი თქვენ ამ მიწებს სამუდამოდ დაგიკანონებთ... მერე, რა ჩვენი ბრალია, რომ კომისიაში რაღაც ხდებოდა და პროკურატურამ დაიწყო მათი საქმიანობის შესწავლა. საბ-ოლოოდ ჩვენ დავზარალდით. გაწელეს დრო, 2009 წლის იანვრიდან ცვლილება შევიდა ლეგალიზაციის კანონში და დაგვტოვეს პირში ჩალაგამოვლებულები. წლებია ვიბრძვით. 2013 წელს საქართველოს პროკურატურასაც კი მივმართეთ, რათა გამოეძიათ მიწის ლეგალიზაციის დროს თუ რატომ არ გაგვიფორმეს მიწები, სად გაქრა ჩვენი დოკუმენტები, მაგრამ მოგვივიდა პასუხი, რომ არ იკეთებოდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწი-ნებული დანაშ-აული და გამოძიებას ვერ დაიწყებდნენ...ვიძახით, დაგვე-ხმარეთ, რაღაც ფორმით გადმოგვეცით ჩვენს მფლო-ბელობაში არსებული მიწები, გვინდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დაფუ-ძნება...ჯერ სათბურების მოწყ-ობას ვგეგმავდით, შემდეგ კენკროვანი კულტურების გაშენებას, მაგრამ მიწების გაუფორმებლობს გამო ვერც ერთ ფონდებში ვერ შევიტანეთ პროექტი –*გვითხრა უნივერსიტეტის ქუჩის მცხოვრებმა **მერაბ ჩიჩუამ.**

**რატომ არის ექადიელთა მიწები სოფელ ლიხაურის ბალანსზე?**

ექადიელებმა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ძალიან ბევრი სასოფლო-სამეურნეო სავარგული დაკარგეს. ნაწილი მეფრინველეობის ფაბრიკას გადეცა, ნაწილი –მანქანათმშენებელ ქარხანას. 90-იან წლებში ლეკიანში –ჰექტრობით მიწა, აქოდა 3-კილომეტრიანი ზოლიაო დაკარგეს, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ შემდეგ გაყიდა... ეს 22 ოჯახი, 50-იანი, 60-იანი წლებიდან მოყოლებული რომლებსაც კოლმეურნეობის დროს გაპიროვნებული ჰქონდათ ეს ფართობი, მოჰყავდათ სიმინდი და კოლმეურეობას აბარებდნენ, საიდანაც შრომადღის სახით აძლევდნენ მოსავლის ნაწილს და ფულად ანაზღაურებასაც, პრივატიზაციის დროს ითხოვდნენ ამ მიწების საკუთრებაში დაკანონებას. ქალაქის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის აზრით, უმჯობესი იყო, ეს მიწები ამ ხალხს მფლობელობაში ჰქონოდათ, რადგან საჭიროების შემთხვევაში ქალაქს გაფართოება შეძლებოდა. მოხდა კი პირიქით, **2004 წელს მიწები სოფელ ლიხაურს გადასცეს. ამის მოტივაცია ის იყო, რომ სოფელ ლიხაურის გამგეობაში შესულიყო მანქანათმშენებელი ქარხნიდან ადგილობრივი მოსაკრებელი.** შემდეგ კი ნაციონალურმა ხელისუფლებამ ქარხანა ინდურ კომპანია „მანსაროვარს“ მიყიდა და ახალი თავსატეხი გაუჩინა აქაურებს (ეს ცალკე თემაა)...

*– ამ მიწების არც ერთ დროებით მფლობელს არ აქვს საშუალება აუქციონზე შეიძინოს ეს სასოფლო-სამეურნეო ფართობები, თანაც ეს ტექნიკურად რთულია, რადგან მას 22 მფლობელი ჰყავს.* ყველაზე კარგი გამოსავალია სახელმწიფო საკუთრებიდან მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემა და შემდეგ ამ მიწების ლეგალიზაცია, ან თუნდაც იჯარით გადმოცემა. ეს იქნება ამ ხელისუფლების ყველაზე კეთილი ნება –გვითხრა გასულ პარასკევს რედაქციაში უნივერსიტეტის ქუჩის მცხოვრებმა **ცისანა ჯინჭარაძემ.**

*–50 წელზე მეტია, რაც ჩემი ოჯახი ამ მიწას ამუშავებდა და სიმინდი მოჰყავდა. კოლმეურნეობიდან ამაზე შრომადღე გვეწერებოდა. ჩვენ, ნოტარიულად მოვამზადეთ ლეგალიზაციის კომისიაში წარსადგენი საბუთები, მაგრამ 2008 წელს პროკურატურის მიერ ამ კომისიის მუშაობის შესწავლამ ეს საკითხი ჯერ შეაჩერა, შემდეგ კი საერთოდ ამოიღეს დღის წესრიგიდან. რაღაც პერიოდში საიჯარო ხელშეკრულებაც გვქონდა გაფორმებული, მაგრამ ამჟამად ვერ შევძელით აღნიშნული დოკუმენტის მოპოვება.სიმინდს ვთესავდით, რადგან ვერ ვკისრულობდით უფრო მომგებიანი კულტურების დარგვას.*

*თუკი ხელისუფლება იჯარით, ან 1 ლარად გადმოგვცემს ამ ფართობს, შესაძლებელი იქნება ამ მიწების განაშენიაბა. ჩვენ პროექტების დაწერა შეგვიძლია და ფონდებში წარდგენა.* - გვითხრა ასევე უნივერსიტეტის ქუჩის მცხოვრებმა *კაკო თავდუმაძემ.*

გაზეთი „ალიონი“ განაგრძობს ამ საკითხზე მუშაობას.

# ექადიელები ქ. ოზურგეთში ალუმინის სხმულების საწარმოს მშენებლობის პროექტს აპროტესტებენ



**ალიონი.** 18 ივლისს, ქ. ოზურგეთში, (ექადია), ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის (იგი ამჟამად ინდურ კომპანია „მანსაროვარს“ ეკუთვნის), მიმდებარე ტერიტორიაზე ექადიის უბნის მოსახლეობამ არაპოლიტიკური საპროტესტო აქცია გამართა. ისინი აქ მეორადი ნედლეულისაგან ფერადი ლითონების (ალუმინის სხმულების) წარმოების საწარმოს აგების მცდელობას აპროტესტებდნენ. აღნიშნულ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა უკვე მოაწერა ხელი, თუმცა **სკოპინგის ანგარიშს ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე არ გაცნობია** და იგი 17 ივლისს გამოაკრეს სოფელ ლიხაურის ტერიტორიულ ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში. აქციაზე ექადია-ანასეულის საარჩევნო უბნის მაჟორიტარი დეპუტატი დავით მდინარაძე ჰყავდათ მოწვეული.

აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ, თუ რატომ მოაწერა მინისტრმა დასკვნას ხელი მოსახლეობაში განხილვის გარეშე. მართალია **COVID 19**-ის გამო საგანგებო სიტუაციის წესები მოქმედებდა, მაგრამ მათ შეეძლოთ 10-კაცამდე ჯგუფებთან რამდენიმე შეხვედრა გაემართათ. ამიტომ ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ სკოპინგის დასკვნა გასაჯაროვდეს.

*–კომპანია „მარსაროვარი“ და „ჯეოგადამამუშავებელი“ მეორადი აკუმულიატორებს აღნობდნენ ტყვიის მისაღებად. რა იყო შედეგი, ამას კვლევებიც ადასტურებს. დღეს ჩვენს ბავშვებს აქვს საქართველოს მცირე მდინარეებს შორის ტყვით ყველაზე დაბინძურებული მდინარე ბჟუჟი. სხვებთანე ერთად წლები ვიბრძოდით, არ მივეცით ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს აგების უფლება, ახლა კი ტოქსიკურ საწარმოს აშენებას გეგმავენ.მე შშმ პირის დედა ვარ, ვიცი რას ნიშნავს ასეთ საწარმო დასახლებულ უბანში. მშვიდობიანი აქციების საშუალებით ვიბრძოლებთ, რომ ოზურგეთს ახალი უბედურება ავაცილოთ* –გვითხრა ექადიელმა **ხათუნა ცირეკიძემ.**

*–რატომ არაფერს გვეკითხებიან. არ გვინდა მავნე საწარმო დასახლებულ პუნქტში. შვილები გვყავს, შვილიშვილები, რატომ უნდა აშენდეს*–განაცხადა **ციური ხუნდაძემ.**

*–რატომ მაინცდამაინც მავნე საწარმო უნდა აშენდეს აქ, რაღაც ისეთი გააკეთონ, ეკოლოგიურ ზიანს რომ არ მოუტანს ქალაქს, მდინარი აუზს, მოსახლეობას?* –დასვა კითხვა პედაგოგმა **ნატო გობრონიძემ.**

აქციაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე,სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარი დეპუტატი ოზურგეთის საკრებულოში **დავით მჟავანაძე** მივიდა.

*–დავით, შენ აქ არავის მოუწვევიხარ. ჩვენ აქ პოლიტიკური აქცია არ გვაქვს. ნუ გამოიყენებ ამ აქციას ვიწრო პოლიტიკური მიზნით* –მიმართა მას ექადიელმა **ავთანდილ ბერიშვილმა.**

თუმცა აქციის სხვა მონაწილეებს არანაირი პილიტიკური განცხადება არ გაუკეთებიათ.

ამ ეტაპზე აქციის მონაწილეები ადგილობრივი ხელისუფლებიდან თანადგომას ითხოვენ.

ექადია-ანასეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა **დავით მდინარაძემ** ჩვენთან განაცხადა, რომ მან მოუსმინა მოსახლეობას, ყველაფერი ჩაინიშნა და ამ საკითხებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად განიხილავენ

.–ეს არ იყო პოლიტიკური აქცია, მესმის უბნის მოსახლეობის სამართლიანი გულისტკი-ვილი. მე ჩემი ამომრჩევლების გვერდით ვდგევარ - გვითხრა მან.

აქციის დაწყების წინ გაზეთი „ალიონი“ კომპანია „მანსაროვარის“ და „ჯეოგადამამუშავებელის“ მენეჯერს თამარ თავაძეს შეხვდა.

**თამარ თავაძის** თქმით ისინი უახლოეს დღეებში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა გეგმავენ. იგი აქციას არ დასწრებია.

გაზეთმა „ალიონი“ გასულ პარასკევს დავით მდინარაძეს კვლავ ესაუბრა:

*– გურიის გუბერნატორ ზურაბ ნასარაის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძეს უკვე ვესაუბრე ექადიის უბანში ალუმინის სხმულების საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხზე. ისინი აცხადებენ, რომ მოსახლეობასთან თანხმობის გარეშე საწარმო არ აშენდება. ახლა მიწის საკითხსაც ვსწავლობ. იმედია ეს თემაც ხალხის სასარგებლოდ გადაწყდება.* –გვითხრა **დავით მდინარაძემ.**

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

# პროექტი: „ნარჩენები და გარემო“
# ოზურგეთის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის მონიტორინგი: შესრულებული სამუშაოები, პრობლემები, გამოწვევები

მდექ-ის გურიის რეგიონალური კომიტეტი

ქალები რეგიონის განვითარებისთვის
WOMEN FOR REGIONAL DEVELOPMENT

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ,, საქართველო- ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას.‘‘ ამ ხელშეკრულებით, ქვეყანამ აიღო ვალდებულება, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება (ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით), მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება განპირობებული იყო საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან აღებული ვალდებულებებით, 1996 წელს მიღებულ იქნა კანონი ,, გარემოს დაცვის შესახებ‘‘,რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის მოქმედებათა რეგულარულ შემუშავებასა და განხორციელებას

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა 2012-2016 წლებისთვის მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის 127 განკარგულებით

ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის 160 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია (ნმეს) იგი შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევრ-ოკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად. სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან.

ამავდროულად დამტკიცდა ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა,

2018 წლის 22 მაისის 1124 განკარგულების საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, რომელიც განსაზღვრულია 2018-2022 წლებისთვის. ამ სამოქმედო გეგმის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება არის ქვეყანაში ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევა

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე შემუშავდა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა‘‘- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 21-76 (12.04.2018 წელი) ბრძანების საფუძველზე, გეგმა დამტკიცდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 ივლისის სხდომაზე. გეგმის მიზანია მუნიციპალური ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ნარჩენების მართვის ეროვნულ პოლიტიკასთან. იგი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ექვემდებარება განახლებას და შესაბამის კორექტირებას.

ამ გეგმის განხორციელება შედის იმ სავალდებულო ღონისძიებათა ნუსხაში, რომელთა შესრულებაზეც საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აიღო ვალდებულება.

,,სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის‘‘ მხარდაჭერით, ,,სამოქალაქო საზოგადოების ინიციტივის‘‘ ფარგლებში,რომ-ელსაც ახორციელებს ქართული ორგანიზაციებიდან შემდგარი კონსორციუმი, კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობით, ხორციელდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, ძალადო-ბისაგან დაცვის ეროვნული ქსელის გურიის რეგიონალური კომიტეტი, ა/ო ,,ქალები რეგიონის განვითარებისთვის‘‘ კოა-ლიციაში ახორციელებს პროექტს ,,ნარჩენები და გარემო‘‘ და შესაბამისად, ახორციელებს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის‘‘ რამდენიმე ამოცანის შესრულების მონიტორინგს . პროექტის მიზანი: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა. პროექტის მიხედვით გათვალისწინებული საქმიანობები: 2018-2022 წლის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შესწავლა ექსპერტის მიერ ,გეგმით გათვალისწინეული საქმიანობების შესრულების მონიტორინგი. მუნიცილაპიტეტის სამოქმედო გეგმის მიხედვით 2018 წლის საქმიანობის შესრულების ანგარიშის და 2019 წლის საქმიანობის მიმდინარეობის მონიტორინგის საფუძველზე ანალიზის და დასკვნის მომზადება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების ადვოკატირება ექსპერტის მიერ რეკომენდაციების პაკეტის მომზადება მუნიციპა-ლიტეტისთვის

პროექტის საქმიანობა დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში, პროექტში ჩაერთო ექსპერტი გარემოს დაც-ვის საკითხებში, ბატონი თეიმურაზ კეპულაძე- (მწვანეთა მოძრ-აობა- დედამიწის მეგობრები).

თავდაპირველად ოზურგეთის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (ოზურგეთის მერიაში არ არსებობს გარემოს დაცვის განყოფილება, არსებობს გარემოს დაცვის სპეციალისტის შტატი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსხურის შემადგენლობაში და ა(ა)იპ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი‘‘ ) გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია ,,მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის‘‘ და მისი განხორციელების შესახებ, მასალა საკმაოდ მწირი აღმოჩნდა. როგორც მერიაში განმარტეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გამო არსებული სამოქმედო გეგმით საქმიანობა არ ხორციელდებოდა და შესაბამისად, განხორციელების ვადებიც შეიცვალა.



შეხვედრა მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან

მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმიდან მონიტორინგისთვის შეირჩა ის საქმიანობები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო 2018 წელს და 2019 წლის ბოლომდე.

**ამოცანა 1.1**

ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება, დაბინძურების ცხელი წერტილების შემცირება

**ამოცანა 3.1**

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ოპერატორების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

**ამოცანა 3.2**

ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა

**ამოცანა 4.1**

სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა რემედიაცია

**ამოცანა 5.1**

ქაღალდის მინის, მეტალის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება

**ამოცანა 6.2**

კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება

ამ დოკუმენტის შესწავლის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2006 წლიდან ფუნქციონირებდა ურეკის ნაგავსაყრელის პოლიგონი, რომელზეც 2013 წელს მოეწყო ნარჩენების გადამტვირთი სადგური, საიდანაც ნაგვის გადაზიდვა ხდება ს. მერიის ნაგავსაყრელზე.



შეხვედრა ა(ა)იპ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის‘‘ ხელმძღვანელთან , ბატონ თენგიზ ქუტიძესთან

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**ამოცანა 1.1 ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება, დაბინძურების ცხელი წერტილების შემცირება, 2018 წელი**

**განსახორციელებელი ღონისძიებები:** ინსპექტირების გეგმის შემუშავება, განხორციელება

**შედეგი:** დაბინძურების ცხელი წერტილების შემცირება

**ინდიკატორი:** ინსპექტირებული ობიექტრების რაოდენობა

**პასუხისმგებელი:**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ა(ა) იპ „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“

**სტიქიური ნაგავსაყრელების გაწმენდითი სამუშაოები**





**შეგროვილი და ნაგავსაყრელებზე ტრანსპორტირებული ნარჩენების რაოდენობა პროგნოზის მიხედვით**




**შეგროვილი და ნაგავსაყრელებზე ტრანსპორტირებული ნარჩენების რაოდენობა რეალურად**




**მდინარე „ბაზრის წყალის“ დასუფთავება**







**მუნიციპალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები ასუფთავებენ ურეკი ნატანების ტერიტორიას**

---

**ა(ა) იპ ოზურგეთის მომსახურების ცენტრის მატერიალურ- ტექნიკური ბაზა**



CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ასე გამოიყურება მდინარე ნატანები



მოსახლეობა არ ერიდება ქუჩაში ნაგვის დაყრას

**ეს ფოტოები მუნიციპალიტეტის სოფლებში პროექტის ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს არის გადაღებული, სოფელ დვაბზუში, მდინარე ნატანების მიმდებარე ტერიტორიაზე**

**საკანონმდებლო ბაზა:**
**ნარჩენების მართვის კოდექსი**
**თავი I მუხლი 8. დანაგვიანების აკრძალვა**

1. აკრძალულია ნარჩენის (ნარჩენების) გარემოში დაგდება (დაყრა), გადაგდება (გადაყრა) ან/და მიტოვება ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა და ობიექტების გარეთ.

3. მუნიციპალიტეტი, რომლის ტერიტორიაც დანაგვიანდა, უფლებამოსილია მოსთხოვოს დამნაგვიანებელს ამ ტერიტორიის დასუფთავება. თუ დამნაგვიანებლის დადგენა ან მოძიება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტს შეუძლია მის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება ტერიტორიის მფლობელს დააკისროს.

**თავი X. მუხლი 32. სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება**

1.1 მ3-მდე მოცულობის სამშენებლოან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება –გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2.1 მ3 ან 1 მ3-ზე მეტი მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება –გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

ის, რომ ეს სოფელი/ქალაქი/შენია და ნაგავი ქუჩაში არ უნდა დაყარო, ამის შეხსენება როგორც ჩანს, სჭირდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელთა ძალისხმევით ბიუჯეტიდან 30 000 ლარი გამოიყო გარემოს დაბინძურების საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც გულისხმობს ტრენინგების, სემინარების, ვორქშოპების ჩატარებას ახალგაზრდებთან, რომლებიც თავის მხრივ ინფორმაციას გაავრცელებენ თავიანთ თემებში. ჩვენს მიერ ამ მიზნით მომ ზადდა პროექტი, მაგრამ „კოვიდ 19“-ით გამოწვეული მოვლენების გამო ჯერჯერობით პროექტი შეჩერებულია

**ექსპერტის დასკვნა** : მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის საპროგნოზო მონაცემები: 2018 წლისთვის 8286ტ და 2019 წლისათვის 10400 ტ.

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით (გ/1010-011-2-20200110-1353 10/01/2020) 2018 და 2019 წლებში შეგროვებული და გატანილი იქნა ნაგავსაყრელზე: 2018 წ. - 10946 ტ. საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2019 წ.-10850 ტ. საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2019 წ. - ურეკი - შეკვეთილის პლაჟებიდან შეგროვებული და გატანილი იქნა ნაგავსაყრელზე 735 ტ. ზღვის მიერ გამორიყული სხვადასხვა ნარჩენები

ხოლო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 6 დეკემბრის 15773 წერილის მიხედვით კი ნაგავსაყრელზე შეტანილი იქნა 13627 ტ ნარჩენი.

ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ხარვეზია აღრიცხვიანობის საკითხში, რაც არ გვაძლევს სწორ სურათს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 6 დეკემბრის 15773 წერილის თანახმად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფას,რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაგვას და ნაგვის ურნებში განთავსებას. ამ მიმართულებით მუნიციპალტეტს ემსახურება 46 მეეზოვე, რომლებიც ყოველდღიურად ასუფთავებენ 653კვმ ფართობს. ამ მონაცემების მიხედვით დღეში ერთი მეეზოვე ასუფთავებს 13,98 კვ.მ ფართობს, რაც ძალიან მიზერული მაჩვენებელია.

**ამონარიდი წერილიდან:**

( გ/10 10-011-2-202001101353 10/01/2020)

**ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“**

„გარდა იმისა ,რომ მომსახურების ცენტრი ასრულებს დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის სამუშაოებს, პერიოდულად ეწყობა დასუფთავების აქციები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციის თანამშრომლები და მოიცავს, როგორც მუნიციპალიტეტის სოფლებთან დამაკავშირებელი გზების მიმდებარე ტერიტორიის და სოფლების ცენტრალური მოედნების დასუფთავებას, ასევე ურეკი -შეკვეთილის სანაპირო ზოლის ზღვისგან გამორიყული ნარჩენებისგან გაწმენდას. მდინარე ნატანებზე და მდინარე სეფაზე მოწყობილია ატივნარებული ნარჩენების შემკრები ტივტივები, რომლებიც უზრუნველყოფს ზღვაში მათი ჩატანის თავიდან აცილებას. აღმოჩენილი და ლიკვიდირებული იქნა დაბა ნასაკირალში, საშუალო სკოლის მიმდებარედ არსებული სტიქიური ნაგავსაყრელი“.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნათა რაოდენობა**




**ამოცანა 3.1. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ოპერატორების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება, 2020 წელი**

**გასატარებელი ღონისძიებები:** შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის შექმნა

ტექნიკური დოკუმენტაციის სამუშაოთა აღწერილობის მომზადება, შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა.

**შედეგი:** მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და მართვის ტრანსპორტირების რეგისტრაციის სისტემის შექმნა;

მომსახურეობის ეფექტურობის ამაღლება

**ინდიკატორი:** საქმიანობის რეგისტრაცია

**პასუხისმგებელი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

**საკანონმდებლო ბაზა:** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის № 114 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს:

ა) ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება;

ბ) 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება

**კომენტარი:** მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შესაბამისად 2018 წელს უნდა დასრულებულიყო მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების რეგისტრირებული სისტემა, პასუხისმგებელი შესრულებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ა(ა) იპ „ოზურგეთის მომსახურების სერვის ცენტრი“.

ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური სერვის ცენტრის“ ხელმძღვანელის, ბ-ნ თენგიზ ქუტიძის ინფორმაციით, ნარჩენების გატანა ხდება სოფელ მერიაში არსებულ ნაგავსაყრელზე, ამჟამად უკვე არსებობს საქმიანობის შესაბამისი ელექტრონული პლატფორმა, ხდება აღრიცხვიანობა, ნარჩენების გატანის თაობაზე მონაცემები მიეწოდება მუნციპალური განვითარების ფონდს.

**საკანონმდებლო ბაზა: ნარენების მართვის კოდექსი, თავი V.მუხლი 17**

1. სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, შეგროვება და ტრანსპორტირება, აგრეთვე მათი დამუშავება და დასაწყობება ისე უნდა განხორციელდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა.

როგორც ბ-მა თენგიზ ქუტიძემ აღნიშნა, მათ კომპეტენციაში ე.წ. “სახიფათო ნარჩენები” და “სამედიცინო ნარჩენები” არ შედის.

რაც შეეხება სამედიცინო ნარჩენებს, მისივე ინფორმაციით, ხდება მათი ტრანსპორტირება შპს „ მედალფას“ მიერ ქალაქ ბათუმში, შესაბამისი პირობების დაცვით.

**ამოცანა 3.2 ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა 2018- 2020 წელი**

**გასატარებელი ღონისძიებები** : მდინარე სეფისწყალზე ატივნარებული ნარჩენების შეგროვება, 2019 წელი

საჭიროების შეფასების საფუძველზე, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების გასაუმჯობესებლად, კონტეინერებით და მანქანა მექანიზმებით უზრუნველყოფა,

**შედეგი:** წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების 90 %-ის შეგროვება

**ინდიკატორი:** სერვისის მიწოდების დაფარვის არეალი, მომსახურების მიწოდებით დაფარული ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობა.

**პასუხისმგებელი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“

**საკანონმდებლო ბაზა:**

**ნარჩენების მართვის კოდექსი, თავი IV. მუნიციპალური ნარჩენების მართვა**

**მუხლი 16. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და დამუშავება**

1. მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება;

ბ) მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირებ

ექსპერტის დასკვნა: 2020 წლისთვის განსაზღვრულია ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლის (90%) მიღწევა.მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ეს მაჩვენებელი 60-65%-ა.



CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**წყარო:** გ/121 121-011-2-202-006151418 . 15/06/2020, ა(ა) იპ „ **ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფართობია 673,97 კმ2. მოსახლეობა შეადგენს 78 600 კაცს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის: 1ქალაქი, 4 დაბა და 24 სოფელი. სულ ახლახანს დაემატა მე- 5 დაბა, კურორტ გომისმთას მიენიჭა დაბის სტატუსი

ქალაქი ოზურგეთი ფართობი - 8,2 კმ?

მოსახლეობა - 20,7 ათასი

ნარჩენების მართვის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული იყო ნაგავმზიდების გადაადგილების ექვსი

სავარაუდო მარშრუტი : **წყარო:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

მიღებული ინფორმაციით მარშრუტების სქემა არ შეცვლილა. წყარო: გ/10 10-011-20-202001101353

ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრის“ დირექტორი თენგიზ ქუტიძე

თუმცა არ არის გაანალიზებული შედეგები,როგორ გაიზარდა ურნების რაოდენობა,გატანის ინტენსიობა, თითოეული მარშრუტიდან შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა. ნარჩენების მართვა მხოლოდ ნაგვის გატანით შემოიფარგლება

**ამოცანა4.1. სტიქიური ნაგავსაყრელების რემედიაცია.- 2018- 2020წელი**

**გასატარებელი ღონისძიება:** : ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების სრული ინვენტარიზაცია, დასუფთავება, ტერიტორიის აღდგენა

**შედეგი:** სტიქიური ნაგავსაყრელების არარსებობა

**ინდიკატორი:** დახურული და აღდგენილი სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობა

**პასუხისმგებელი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“

**საკანონმდებლო ბაზა:**

**ნარჩენების მართვის კოდექსი მუხლი 8.**

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება მუნიციპალიტეტს ეკისრება, თუ აღნიშნული ტერიტორია კერძო საკუთრება არ არის.

**ექსპერტის დასკვნა:** გეგმის XI დანართის მიხედვით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხული იყო 37 სტიქიური ნაგავსაყრელი, საერთო ფართობით 14765 კვ.მ. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ისინი ლიკვიდირებულია. (იხ. ფოტოები)

2019 წელს აღირიცხა 2 სტიქიური ნაგავსაყრელი და მოხდა მათი ლიკვიდაცია.ინფორმაციის წყარო: გ/121 121-011-2-202006151418 . 15/06/2020, ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“. ამ დოკუმენტში

არაფერია ნათქვამი სოფელ შემოქმედის გზაზე არსებული სპონტანური ნაგავსაყრელების, ( სამშენებლო ნაგავის შესახებ), ლიკვიდირებულია თუ არა ისინი ( იხ. ფოტოები)

**ამოცანა 5.1 ქაღალდის მინის, მეტალის და პლასტიკის წარმოქმნის წყარ-ოსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება, 2019 წელი**

**გასატარებელი ღონისძიება:**

1.საჯარო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პილოტური პროგრამის განხორციელება.

2.ქაღალდის, პლასტიკის, მინის, მეტალის სეპარირების მინიმალური მაჩვენებლის განსაზღვრა.

**შედეგი:** სეპარირების სისტემის დანერგვა და წლიური მაჩვენებლის მიღწევა

**ინდიკატორი: ს**აჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების რაოდენობა, სადაც დანერგილია სეპარირების სისტემა.

**პასუხისმგებელი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“ საკანონმდებლო ბაზა:

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია.

ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება. (მუნიციპალიტეტებს სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვის ვალდებულება ეკისრებათ 2019 წლიდან).

როგორც ჩანს ,მუნიციპალურ ნარჩენებში ყველაზე დიდი წილია ორგანული ნარჩენები, რაც იძლევა საშუალებას, მომავალში მისი რეციკლირების პროცესი დაიწყოს.

ამონარიდი:„მიმდინარე წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიგო იაპონიის საელჩოს გრანტი 70 000 ამერიკული დოლარის ოდენობით, რითაც მოხდება ნაგავ-მზიდისა და სეპარირებისათვის საჭირო ურნების შეძენა. ხოლო 2020 წლის ბიუჯეტში, 2019 წლის თავისუფალი ნაშთების ასახვის დროს გათვალისწინებულია 20 000 ლარის ასახვა, რომლითაც განხორციელდება პლასტიკის საპრესი დანადგარის შეძენა სეპარირებული პლასტიკის ნარჩენებისთვის“. ოსიკო თოთიბაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია 16954 16954-0-2-201912311208 31/12/2019

**ექსპერტის დასკვნა:** კომპაქტური ნაგავმზიდის და სპეციალური ნაგვის ურნების შეძენა, ხელს შეუწყობს ნარჩენების სეპარირების კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურ წარმართვას. პანდემიასთან დაკავშირებით საზღვრების ჩაკეტვის გამო ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საჭირო ტექნიკისა და დანადგარების შეძენა. ასევე ვერ მოხერხდა პლასტიკის საპრესი დანადგარის შეძენა სეპარირებული პლასტიკის ნარჩენე-ბისთვის“, **წყარო:** გ/121 121-011-2-20200-6151418 . 15/06/2020, ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“. ჯერჯერო-ბით არც სპეციალური ურნებია შეძენილი და განთავსებული პლასტიკის სეპარირებისთვის გეგმის მიხედვით 2019 წლიდან გათვალისწინებული იყო საჯარო სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ასევე საჯარო დაწესებულებებში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პილოტური პროექტის განხორციელება, რაც ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

არ არის დაწყებული კომპოსტირების პილოტური პროგრამის განხორციელება, რაც ასევე გათვალისწინებულია გეგმით.

**ამოცანა 6.2 კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება, 2019წელი**

**გასატარებელი ღონისძიება:**

1. კერძო სექტორისთვის დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის გაანგარიშება

2. მოსაკრებლის შეგროვების ეფექტიანი სისტემის შექმნა

**შედეგი:** სუბსიდირების შემცირება

**ინდიკატორი:** მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდირების შემცირების პროცენტული მაჩვენებელი

**პასუხისმგებელი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“

**ამონარიდი:**„მიმდინარე წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიგო იაპონიის საელჩოს გრანტი 70 000 ამერიკული დოლარის ოდენობით, რითაც მოხდება ნაგავმზიდისა და სეპარირებისათვის საჭირო ურნების შეძენა. ხოლო 2020 წლის ბიუჯეტში, 2019 წლის თავისუფალი ნაშთების ასახვის დროს გათვალისწინებულია 20 000 ლარის ასახვა, რომლითაც განხორციელდება პლასტიკის საპრესი დანადგარის შეძენა სეპარირებული პლასტიკის ნარჩენებისთვის“. ოსიკო თოთიბაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

16954 16954-0-2-201912311208 31/12/2019

**ექსპერტის დასკვნა:** სამოქმედო გეგმის მიხედვით არსებული სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემული სუბსიდია. ასევე ფინანსდება „ნაწილობრივ დასუფთავების მოსაკრებლის მეშვეობით.“ **წყარო**: გ/121 121-011-2-202006-151418 . 15/06/2020, ა(ა) იპ „ ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“.

ნარჩენების მართვის ერთ ერთი ძირითადი პრინციპა „**დამბინძურებელი იხდის“.**

**„ნარჩენების მართვის კოდექსი“ თავი I. მუხლი** V- 2 ბ პუნქტის თანახმად: ნარჩენების წარმომქმნელი ან ნარჩენების მფლობელი ვალდებულია გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა ნარჩენების წარმომქმნელებმა გადახდილი მოსაკრებლის მეშვეობით უზრუნველყონ გაწეული ხარჯების ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 1462 იურიდიული ობიექტი (მუდმივი, სეზონური), მათ შორის 281 სეზონური, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები. 1 ოქტომბრის მდგომარეობით ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხულია 175300 ლარი. წყარო:

15773 15773-0-2-201912061214



06/12/2019, ალექსანდრე სურგულაძე,

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

2020 წლიდან უნდა დაწყებულიყო მოსახლეობიდან დასუფთავების ხარჯების ამოღება(სავარაუდოდ ერთ სულზე 40 თეთრი), ტარიფი საკმაოდ დაბალია, რადგან ეს ტვირთად არ დააწვეს მოსახლეობას,მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო პროცესის დაწყება გადაიდო .

ამონარიდი წერილიდან: 2020 წლიდან დაგეგმილია( პირველ ეტაპზე)



შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებთან

ქ.ოზურგეთის მოსახლეობიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება. სულ აღრიცხვაზე აყვანილი არის 4095 მოსახლე. მოსახლეობისთვის დასუფთავების მოსაკრებლის ინფორმაციის დროულად მიწოდების მიზნით შექმნილია ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს გადასახადის ოდენობის შ შ შეტყობინებას. დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის გამარტივების მიზნით დაიდო ხელშეკრულება კლირინგ ჯგუფთან (საქართველოში მოქმედი ბანკების გაერთიანება) ,რის საშუალებითაც მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადი გადაიხადოს ქ. ოზურგეთში არსებული ყველა „ფეი აპარატით“.

თენგიზ ქუტიძე

დირექტორი ააიპ "მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი" გ/10 10-011-2-202001101353

პროექტის განხორციელენის პერიოდში ტარდებოდა კონსულტაციები ექსპერტთან,

.

**P.S.**ცვლილება კანონმდებლობაში: ***2020 წლის 15 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა „ნარჩენების მართვის კოდექსში“ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევაში იზრდება ჯარიმების რაოდენობა, კერძოდ: სახლიდან 2კგ-მდე ნაგვის გადაყრა 100 ლარის ნაცვლად 200 ლარით დაჯარიმდება, ავტომანქანიდან იგივე ქმედება- 250 ლარით.***

***სანქციები მკაცრდება ასევე იურიდიული პირებისთვის;***

***საბურავების, სამშენებლო და სამედიცინო ნარჩენების უკანონო განთავსებაზე, ასევე სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში, სანქციები 4-ჯერ იზრდება(კანონპროექტის ავტორი პარლამენტის წევრი გოგა გულორდავა. კანონი ძალაში შევა ივლისის თვის ბოლოს . ექსპერტების აზრით, „ჯარიმების გაზრდა გარემოს დაცვისთვის ეფექტიანი მექანიზმი იქნება“***

*ინფორმაციის წყარო:* ***Tv IMEDI****, გადაცემა „ ქრონიკა“ 15. 17. 2020*

მასალა მოამზადეს:

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის გურიის რეგიონალური კომიტეტი, ზაირა ბერიძე

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები“, ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში, თეიმურაზ კეპულაძე

სულთათანა

# შალვა (შუქრი გაბრიჩიძე)

## კაცი, რომელიც მხოლოდ ქალაქს კი არა, ყველას, თითოეულ ჩვენგანს დააკლდა



წლევანდელი 22 ივლისი შავ, მძიმე დღედ შევა ოზურგეთის ისტორიაში. ამ დღეს მოულოდნელად გამოგვაკლდა მართლაც ღირსეული პიროვნება **შალვა (შუქრი) გაბრიჩიძე,** კაცი, რომელიც მხოლოდ ქალაქს კი არა, ყველას, თითოეულ ჩვენგანს დააკლდა.

ტყუილია, უნაკლო ადამიანი არ არსებობსო! აგერ არ გვყავდა, ჭირსა და ლხინში გვერდით არ გვედგა?! ადამიანი, რომელიც სიკეთედ იღვრებოდა, სამსახურში, სამეგობროში, სამეზობლოში ბოლომდე ისარჯებოდა და იხარჯებოდა. კი, შუქრი იყო ასეთი კაცი!!!

ვუთანაგრძობთ მშობლებს, სახელდებულ მეცნიერებს – ქალბატონ ჯილდა ლოლაძესა და ზაურ გაბრიჩიძეს, მეუღლეს – ქალბატონ მაიას, ერთადერთ დას – თამარს, სანიმუშო შვილებს – ზუკასა და თათას, რძალს – თათიას, შვილიშვილებს გეგასა და ნენეს, სიძეებს გოჩასა და გიორგის, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს, ქალაქის მერიას, ზედამხედველობის სამსახურს, ოზურგეთსა და ოზურგეთელებს ამ განუმეორებელი პიროვნების მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

გაზეთი **„ალიონი“**

# ვლადიმერ თამაზის ძე ცეცხლაძე



ლადო, შვილო, 6 წელი შესრულდება 28 ივლისს, რომ არ მყავხარ. ძნელია ჩემთვის შენი ყოველდღიური მოგონება. დედაშენი, შვილო, საუკუნეს უახლოვდება, სიცოცხლე შენთან ერთად იყო კარგი, რომ მყოლოდი, თორემ ჩემს სიცოცხლეს რა აზრი აქვს?

შენი ნიკუშა დიდი ბიჭი გაიზარდა, გახსენებს ხშირად. არის გულჩათხრობილი. ნათიაა მისი დედაც და მამაც. ძალიან განიცდიან უშენობას. შენი და ნატო კი სულ შენს ხსენებაშია, საფლავზე ხშირად გაკითხავს. ალამაზებს შენს საფლავს. არ დაგტოვებ, შვილო, მარტოდ, მალე მოვალ შენთან.

**შენი გულდამწვარი დედა ლამარა.**

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ანსამბლ ,,შვიდკაცას“ წევრი, ოზურგეთის კოლორიტი **ბადრი ილიას ძე ინგოროყვა.**

ბადრი ინგოროყვას დაკრძალვა შედგა გასულ ხუთშაბათს, 23 ივლისს, სოფელ მაკვანეთში.



გაზეთი ,,,,ალიონი“ ღრმა მწუხარებით იუწყება მეგობრის, ღირსეული ოზურგეთელის **ბადრი ილიას ძე ინგოროყვას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# პოლიტიკური და სოციალური ვითარება საქართველოში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

გაგრძელება; დასაწყისი გაზეთი „ალიონი“ №16-17




**XIX საუკუნის 90-იან წლებში მან ასეთ მტრად სომხები მიიჩნია, რადგან თვლიდა, რომ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებში დაწყებული სომეხთა ეროვნული მოძრაობის გაერთიანება და „დიდი სომხეთის“ იდეის განხორციელება რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიის დაკარგვას ნიშნავდა. ველიჩკოს წერილებში ხშირად შევხვდებით ქართველების, როგორც რუსების ერთგული ერის და სომხების, როგორც რუსების მტრების, დაპირისპირებას. ამ დაპირისპირებაში ბევრი წინააღმდეგობა და არამეცნიერული დასკვნაა„გაპარული", მაგრამ სრულიად გარკვეული პოლიტიკური მიზნისათვის მებრძოლ ვასილი ველიჩკოს მხოლოდ ამ შედარებიდან მიღებული ეფექტი აინტერესებდა და არა — ისტორიული პროცესის მეცნირული არგუმენტაციით გამყარება.** ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ვასილი ველიჩკოს წიგნიდან ავტორისეულ განზოგადებებსა და დასკვნებს გავეცნობით.

ვასილი ველიჩკოს წიგნის **შესავალში** ვკითხულობთ: **,,კავკასია ჩვენთვის არ შეიძლება უცხო იყოს: კავკასიისათვის ძალიან დიდი ძალა დაიხარჯა, იგი მეტად ორგანულადაა დაკავშირებული დიად რუსულ მსოფლიო მისიასთან, რუსულ საქმესთან".** ამასთან ერთად, ველიჩკო აღნიშნავს, რომ მრავალჯერ სცადეს, ხშირად არცთუ ანგარების გარეშე, რუსული საზოგადოების დაბნევა, გარკვეულიყო კავკასიელ ხალხთა შორის არსებულ ურთიერთობებში. გულწრფელ ადამიანებსაც კი შეიძლებოდა ამ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება გასჩენოდათ. ამ ადამიანების ნაწილი მიიჩნევდა, რომ კავკასიაში, კავკასიელ ხალხებში **,,ყველაფერი უცხო, თუნდაც ღირსშესანიშნავი, პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს, თუ იგი საკმოდ სწრაფად და უკვალოდ არ ერწყმის ჩვენს სახალხო-სახელმწიფოებრივ სტიქიას".** ველიჩკო ასეთ შეხედულებას არასწორად, საზიანოდ მიიჩნევს: **,,ამ სასტიკ შეხედულებას მე ვუწოდებდი გერმანულს და არა — რუსულს.იგი ეწინააღმდეგება რუსეთის მსოფლიო იდეალებს და არღვევს რუსეთის სულიერების საიმედო საფუძველს და, ამდენად, პოლიტიკურ ძლიერებასაც.“** ვასილი ველიჩკოს აფიქრებდა ამ შეხედულების მოწინააღმდეგეთა მოსაზრებანი, რომ რუსეთს კავკასიაში ყოველგვარ რუსულზე უნდა ეთქვა უარი, რაც, მისი აზრით, აუცილებლად დაღუპავდა რუსულ საქმეს კავკასიაში. ველიჩკო თვლიდა, რომ ასეთი შეხედულების მატარებლები **,,რუსები არ იყვნენ"** ველიჩკო თვლიდა, რომ ამ ადამიანების პოზიციის გამართლება იმით, რომ რუსები **,,დიდ და ძლიერ ხალხს"** წარმოადგენდნენ, არ შეიძლებოდა, დიდმა ხალხმა მით უფრო უნდა შეძლოს ერისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა. ვასილი ველიჩკო აღნიშნავდა, რომ რუსეთის საზოგადოების განათლებული ნაწილისთვისაც კი კავკასია **,,მტანჯველი გამოცანაა"** და მისი შეუცნობლობა იმის მაუწყებელი იყო, რომ რუსული საზოგადოება ჯერაც **,,სხვისი სიტყვებისა და წარმოდგენების მონობში"** იმყოფებოდა. წიგნის შესავალ ნაწილს ვასილი ველიჩკო ასე ამთავრებს:. **,,კავკასია დიდი აკადემიაა, ყოველგვარი ბუნებრივი ლაბორატორიით, რომლებიც დამკვირვებლებსა და მკვლევარებს დამოუკიდებელი დასკვნებისათვის დიდ ასპარეზს აძლევს".**

წიგნის მეორე თავში —,,წარსულის ხასიათი"—ვასილი ველიჩკო აღნიშნავს, რომ კავკასიაში სხვადასხვა ხალხი(ტომი) ცხოვრობს, რომელთაგან სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველაზე დიდი ნიჭი(უნარი) ქართველებს აღმოაჩნდათ, თუმცა მათაც ვერ შეძლეს სახელმწიფოს შექმნა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ამით ხსნის ველიჩკო იმას, რომ XIX საუკუნის დამდეგისათვის, ქართველების გარდა, კავკასიაში სახელმწიფოებრიობა არც ერთ ხალხს არ ჰქონია..

ვასილი ველიჩკო კავკასიის დაპყრობასა და მის ათვისებას უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ თვალსაზრისით პირველ დიდ მოღვაწედ კავკასიის მთავარმართებელ **ალექსეი ერმოლოვს** მიიჩნევდა(1816-1827). ალექსეი ერმოლოვის დიდ შეცდომად ველიჩკო კავკასიაში გერმანელთა ჩამოსახლებას და მათი კოლონიების შექმნას თვლიდა, ისევე, როგორც კავკასიის მთავარმართებელ **ივან პასკევიჩის** (1827-1831) დიდი შეცდომა, მისი აზრით, ოსმალეთიდან კავკასიაში სომეხთა გადმოსახლება იყო. ველიჩკოს ამგვარი განწყობილების მიზანი ნათელია: გერმანელებმა და სომხებმა კავკასიაში რუსების საარსებო სივრცე შეზღუდეს და ხელი შეუშალეს რუსულ კოლონიზაციას. სამაგიეროდ, ველიჩკო კეთილი სიტყვით იხსენებს კავკასიის მეფისნაცვალ **მიხაილ ვორონცოვს** (1844-1854), რომლის დროსაც რუსული კოლონიზაცია გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა.

ავტორი დიდი მონდომებით ეძიებს საქართველოში ანტირუსული განწყობის ჩასახვის მიზეზებს. მისი აზრით, ქართველებში ამგვარი განწყობილება გადმოსახლებულმა პოლონელებმა გააღვივეს, რაც 1832 წლის შეთქმულების ორგანიზებაში გამომჟღავნდა. ამ მცდარი აზრის დასაბუთებას ველიჩკო არ ცდილობს, რადგან იგი მისთვის უეჭველი ჭეშმარიტებაა.

კავკასიაში ახალი პოლიტიკური კურსის იდეოლოგი დაინტერესებული იყო რუსეთის საიმპერატორო კარისა და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ დაშვებული შეცდომების დადგენით და არ მალავდა, რომ პეტერბურგში სხვადასხვა თანამდებობის პირებმა ასეთი შეცდომები მრავლად დაუშვეს. ველიჩკოს აზრით, იყვნენ ისეთი სახელმწიფო მოღვაწეები,რომელთაც სწორად ესმოდათ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის მიზნები. და რაგინდ მოულოდნელიც უნდა იყოს, ასეთ მოღვაწედ იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ **კირილ იანოვსკის** მიიჩნევდა. ველიჩკო თვლიდა, რომ კირილ იანოვსკი მედგრად იბრძოდა განათლების სფეროში ცრუკლასიკური სისტემის მავნე გავლენის შერბილებისათვის. ცხადია, ველიჩკო არაფერს ამბობს კირილ იანოვსკის ანტიქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკაზე, რომელიც მას კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

წიგნიდან განსაკუთრებით საინტერესოა მესამე და მეხუთე თავები. ველიჩკო წერს, რომ რუსებსა და ქართველებს დიდი სულიერი სიახლოვე აკავშირებდათ. ეს კავშირი განამტკიცეს ქართველებმა რუსული დროშის ქვეშ ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცით.საერთო საქმის, მესამე რომის მსოფლიო მნიშვნელობის იდეის ხორცშესხმის, მართლმა-დიდებლური კულტურისათვის დაღვრილი რაინდული სისხლის ნაკადებით. სანამ ჩვენ ეს მიზანი გვწამს, ქართველებს უნდა ვუყურებდეთ, როგორც ძმებს .მცირე აზიაში რუსეთის ზემოთ ხსენებული მისიის განხორციელებაში, ველიჩკოს აზრით, ქართველებს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ. რადიკალურად განსხვავებულია სომხების ველიჩკოსეული დახასიათება: ,,სომხების შესახებ ძველთაგანვე ცუდი აზრი ჩამოყალიბდა და ეს, თავისთავად ცხადია, საფუძველს მოკლებული არ არის. სხვაგვარად მთელ რიგ ხალხებს და, ისიც სხვადასხვა ეპოქაში, ასეთი აზრი არ შეექმნებოდა." ველიჩკო განსაკუთრებით ცუდადაა განწყობილი სომეხი ერის მმართველი ზედაფენის მიმართ და მას ,,უსულგულო წინამძღოლებს“ და ,,პოლიტიკან მჩაგვრელებს“ უწოდებს.

ვასილი ველიჩკო ამტკიცებდა, რომ ქართველებში ანტირუსული სეპარატისტული მოძრაობა სუსტი იყო, ხოლო სომხებში — ძლიერი. როგორც ვხედავთ, პოლიტიკური მიზნით ველიჩკომ მთლიანად გააყალბა XIX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის არსი, რომელიც მკვეთრი ანტირუსული განწყობილებით გამოირჩეოდა და მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას. ველიჩკო განათლებული ადამიანი იყო და კარგად იცოდა, რომ მას ოპონენტები ამ მცდარ დასკვნას არ აპატიებდნენ. ამიტომ იყო, რომ იგი არ უარყოფდა საქართველოში სეპარატიზმის არსებობას, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ ქართული სეპარატიზმი კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის შეცდომების შედეგი იყო. დაახლოებით იგივე აზრია გატარებული ველიჩკოს შემდეგ სიტყვებში: ,,ქართველებს უყვართ დარწმუნებით წარმოთქვან სიტყვა **ერთგული ქვეშევრდომი,** რაც კავკასიის სიმბოლურ ენაზე ხელმწიფისადმი თავდადების აღიარებას ნიშნავს, მაგრამ მათ კავკასიის ხელისუფლებისადმი მორჩილება არ სურთ“ .ქართველებისაგან განსხვავებით, ველიჩკო სომხებს მიიჩნევდა უცხო მხრიდან მოსულებად, რომლებიც განასახიებერდნენ ,,ბოროტ ძალებს"“ . ველიჩკოს აზრით, სომხები დამნაშავენი იყვნენ იმაში, რომ მხარს უჭერდნენ რუსეთში კონსტიტუციური წყობილების შემოღებას, რასაც სახელმწიფოში დიდი ქაოსი მოჰყვებოდა.

**ვახტანგ გურული**

(გაგრძელება იქნება)

**(ვახტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918),** წიგნი 3, გვ.85-87)

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 49 სოფელი მაღალი ხარისხის სწრაფ ინტერნეტს მიიღებს

23 ივლისს, მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 8 საკითხი განიხილა. ერთ-ერთ საკითხად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინტერნატიზაციის საკითხი განიხილეს.




როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარიამ** განახადა, რამდენიმე თვეში ოზურგეთის 49 დასახლებული პუნქტი, სადაც 8 500 ოჯახზე მეტი ცხოვრობს, მაღალი ხარისხის, სწრაფ ინტერნეტს მიიღებს

პროექტი იძლევა ისეთ ფართოზოლოვან მომსახურებებთან წვდომის შესაძლებლობას, როგორებიცაა: ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია და სხვა თანამედროვე სერვისები — ნებისმიერ რეგიონში, სადაც აქამდე მსგავსი მომსახურება არ ყოფილა.

# გურიაში ბენეფიციარებს 40 ახალი ეტლი გადაეცათ



გურიაში ბენეფიციარებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის განკუთვნილი ეტლები გადაეცათ. 40 ახალი ეტლი რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ჩამოიტანა.

გურიის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან და ოზურგეთის მერის მოადგილე ირაკლი სირაძესთან ერთად, ოზურგეთის სოფლებში, ბენეფიციარებს სახლში ესტუმრა და ეტლები გადასცა. რწმუნებული ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

*„ბენეფიციარებს ეტლები ინდივიდუალურად, წინასწარ შესწავლილი ზომების და საჭიროების მიხედვით შევურჩიეთ. ჩვენ, ასოციაციასთან კოორდინირებული მუშაობით, მსგავს დახმარებას მომავალში სხვა პირებსაც გავუწევთ და მათი პირობების გაუმჯობესებაზე ვიზრუნებთ"* - განაცხადა **ზურაბ ნასარაიამ.**

2014 წლიდან - დღემდე რეგიონის მასშტაბით 700 - მდე ეტლი დარიგდა.

# ბახვის საჯარო სკოლა განახლებული შეხვდება ახალ სასწავლო წელს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბახვის საჯარო სკოლის მოსწავლეები ახალი სასწავლო წლიდან რეაბილიტირებულ სკოლაში ისწავლიან.

სკოლის სრული განახლებისთვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტომ 1 125 818 ლარი გამოყო. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია სკოლის გადახურვა, ეზოს შემოღობვა, გათბობის სისტემის დამონტაჟება, საკლასო ოთახების, სპორტული დარბაზის, დერეფნების შეკეთება და სველი წერტილების მოწყობა.

სკოლა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის მიერ 1870 წელს აშენდა და დღემდე მის სახელს ატარებს. სკოლის ამჟამინდელი შენობა 700 მოსწავლეზეა გათვლილი.

# კომპანია „სამი ძმები" მდინარე სუფსის ხეობაში მოსახლეობის პროტესტს არად აგდებენ



*მოსახლეობა ითხოვს სამართალს, საკუთარი უფლებების დაცვას, საყანე ფართობების გადარჩენას და კომპანიის ადგილმონაცვლეობას. აქ ხეობა ნადგურდება, გრივოლეთში სანაპირო ზოლი ვიწროვდება და ახლა იქ ქვა-ღორღს ყრიან. ამას ვაპროტესტებთ — ეუბნებოდა კახა ჩხარტიშვილს და კომპანიის კიდევ ერთ წარმომადგენელს ზაზა ჭანუყვაძეს* გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს" თავმჯდომარე **ირმა გორდელაძე.**

*—ასეთი წაყრუებისთვის ხელისუფლება არჩევნებზე მიიღებს პასუხს. გაგვინადგურეს ჭალა-გარემო. აღარ გვაქვს საძოვარი, დაზიანდა საყანე ფართობები — ცხარობდა* სილაურელი **მიხეილ ქილიფთარი.**

*— რამდენჯერ უნდა ამოიყვანონ და ჩაიყვანონ ეს ექსკავატორი მდინარე სუფსაში. ნახეთ რა უქნეს მდინარეს, ბოლო წყალდიდობის შემდეგ როგორ შეიცვალა რელიეფი. სოფელში უამრავი ბავშვია ჩამოსული თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან. როგორ ჩამოვლენ ამ მდინარეში? ვერ ხედავთ, როგორი ტალახიანი წყალი მოდის, მდინარეს ფსკერი გამოაცალეს* —ამბობდნენ ახალსოფლელები (ბაილეთი) **ნატო** და **დიმიტრი დარჩიები.**

მოსახლეობის აქციაზე იმყოფებოდნენ: სოფელ სილაურის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა კილაძე,ოზურგეთის მერიის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები სოფელ ბაილეთსა და სილაურში ზურაბ დარჩია და გოჩა ჯანხოთელი.

სილაურის მაჟორიტარს მოუწია იმის „ახსნა" კომპანიის წარმომადგენლებისთვის, რომ იგი დეპუტატი იყო და ჰქონდა უფლება მოსახლეობის ინტერესების დაცვის.

—არასწორი ხართ. არ გაქვთ საბუთები წესრიგში, მოსახლეობის პროტესტს არაფრად აგდებთ. 5 შვილის მამა ვარ და ჩემი სოფელი მტკივა. ვერ მოგცემთ უფლებას უკანონო საქმიანობის —ამბობდა **გოჩა კილაძე.**

გოჩა კილაძემ გაზეთ „ალიონის" კითხვასაც უპასუხა, თუ რატომ გაისმის პერიოდულად ადიკო ივანიშვილის სახელი.

*—ადიკო ივანიშვილი არაფერ შუაშია. ესენი ქმნიან იმის ილუზიას, რომ თითქოს ადიკო მფარველობს ამათ. არაა ეს კარგი საქციელი* —გვითხრა გოჩა კილაძემ.

ხანგრძლივი ურთიერთდაპირისპირების შემდეგ შედგა ზეპირის შეთანხმება სილაურ-ბაილეთის მოსახლეობასთან, რომ ისინი მათ გასულ შაბათს შეხვდებოდა.

გაზეთის გამოშვების დღეს რედაქციაში სოფელ ბაილეთის ყოფილი წარმომადგენელი, პედაგოგი სპარტაკ მამულაიშვილი ესტუმრა.

— წლების წინ ერთ-ერთმა ფონდმა დაგვიფინანსა პროექტი მდინარე სუფსის აუზში ახალსოფლის მოსახლეობის საყანე ფართობების დასაცავად რამდენიმე განივი გაბიონის მოსაწყობად. მუშა ხელი ადგილობრივი მოსახლეობა იყო. მდინარის აუზიდან ქვების ამოღების უფლება მოვიპოვეთ და მოვაწყვეთ გაბიონები. მოსახლეობა კმაყოფილი იყო, სუფსა აღარ უტევდა მათ ყანებს. რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი ქვიშა-ღორღის კომპანია შემოვიდა და კარიერის არასწორი გამოყენების გამო გაბიონები მოიშალა.

მე არავის არ ვასწავლი რა გააკეთოს. მსგავსი გაბიონების გაკეთება ახლაცაა შესაძლებელი —გვითხრა მან.

# ზღვის სანაპირო მყარი ნარჩენების გარეშე

*23 ივლისს, დილაადრიან ოზურგეთის „სერვისცენტრის"უფროსს თენგიზ ქუტიძესთან ერთად ურეკი-კაპრუანი-შეკვეთილის სანაპირო ზოლი მოვიარეთ. დიდ შრომას ეწევიან „სერვისცენტრის"მეეზოვეები, ტრაქტორისტები, მენავეები, რომლებიც ზღვით თუ მდინარეებით შემოტანილ მყარ ნარჩენებს აგროვებდნენ და გაჰქონდათ, რათა ზღვაზე ჩამოსულმა დამსვენებლებმა სუფთა გარემოში დაისვენონ.*





## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 27 ივლისი ორშაბათი | 28 ივლისი სამშაბათი | 29 ივლისი ოთხშაბათი | 30 ივლისი ხუთშაბათი | 31 ივლისი პარასკევი | 1 აგვისტო შაბათი | 2 აგვისტო კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +19+29 | მზე, ღრუბელი +18+27 | წვიმა +18+24 | მზე, ღრუბელი +18+27 | მცირე წვიმა +18+26 | მზე, ღრუბელი +19+28 | ღრუბელი +18+27 |